

უ-04/248-16

25.04.16



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of the Chief Prosecutor of Georgia



K A011302143849116

გორგასლის ქ. 24, თბილისი 0114, ტელ/ ფაქსი: +(995 32)2 405 142
24, Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia. Tel/Fax: +(995 32)2 405 142

E-mail: international@justice.gov.ge
www.justice.gov.ge www.psg.gov.ge

№ 13/25593

21 / აპრილი / 2016 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ თამარ გვარამაძეს

ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქუჩა N15

ქალბატონო თამარ,

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განიხილა თქვენი 2016 წლის 28 მარტის Nგ-04/209-16 განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2015-2016 წლების ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის აქტივობა 3.1.1 ითვალისწინებს მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არსებული კანონმდებლობის ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში მის შემდგომ გაუმჯობესებას. სამოქმედო გეგმის თანახმად, აღნიშნული აქტივობა უნდა შესრულდეს 2016 წლის ბოლომდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აღნიშნული პერიოდის დასრულებამდე საბჭოს წევრ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად განახორციელებს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ანალიზს და აღნიშნული ანალიზი გამოავლენს ამ საკითხის მარეგულირებელი აქტების ხარვეზებს, საქართველოს მთავარი პროკურატურა მონაწილეობას მიიღებს შესაბამისი ცვლილებების პროექტის შემუშავებაში.

პატივისცემით,

იურიდიული სამმართველოს უფროსი

ნათია გორგოძე